29.08.16 №

სავანსო გადახდის გარანტია N.BGCA0299/290816

გარანტი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (ს/კ 202906427)
პრინციპალი: შპს „მაგთიკომი“ (ს/კ 204876606)
ბენეფიციარი: სსიპ „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრმთელობის ეროვნული ცენტრი“ (ს/კ 211324351)
საგარანტიო თანხა: 105 (ასხუთი) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის 2016 წლის 26 აგვისტოს გაფორმდა N.396 ნასყიდობის ხელშეკრულება, 1 ცალი 4G USB მოდემის (E3372h-153 Hilink USB Stick) შესყიდვაზე (შემდგომ „ხელშეკრულება“) (CPV32552410). ჩვენთვის ასევე ცნობილია, რომ ბენეფიციარი პრინციპალს ავანსად ჩაურიცხავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულებას, თუ პრინციპალი წარუდგენს ბენეფიციარს საბანკო გარანტიას მოთხოვნილი ავანსის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ პრინციპალი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ კისრულობს გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენისთანავე აუნაზღაუროს მას ნებისმიერი თანხა ან თანხები 105 (ასხუთი) ლარის ფარგლებში. მოთხოვნა ანაზღაურებაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადოდ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება მოთხოვნილი თანხა და ის გარემოება, რომლის გამოც მოხდა მოთხოვნის წარმოდგენა. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წინამდებარე საბანკო გარანტია ძალაში შედის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ცენტრალურ ფილიალში ბენეფიციარის მიერ პრინციპალის №GE73VT6600000000423607 ა/ანგარიშზე ავანსის სახით 105 (ასხუთი) ლარის ჩარიცხვისთანავე. საბანკო გარანტია ძალაშია 2016 წლის 31 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბანკის მიერ მიღებულ უნდა იყოს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე შემდეგ მისამართზე: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, სათავო ოფისი, გ.ჭანტურიას ქ. №14, თბილისი, 0114, საქართველო. წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად მცირდება ჩვენს მიერ აღნიშნულ საბანკო გარანტიაზე გადახდილი თანხების პროპორციულად. საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;
- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით და/ან საბანკო გარანტიის ორიგინალის დაბრუნებით. საბანკო გარანტიის გარშემო წამოჭრილი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო ფინანსირების ჯგუფის უფროსი *ლია ძნელაძე*

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14

ტელეფონი:
+(995) 32 224-24-24
ფაქსი:
+(995) 32 293-32-91

SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.ge